# ენერგოეფექტურობის კონკურსი

## ონისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების მცირე ბიზნესებისთვის

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ენერგოეფექტურობის ცენტრი (EECG) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) პროექტის "მდგრადი ურბანული განვითარება" ფარგლებში აცხადებს კონკურსს **მცირე და საშუალო საწარმოებისთვის** (SMEs), რომლებიც ოპერირებენ **ონისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში.**

კონკურსის მიზანია ობიექტების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებაში ადგილობრივი ბიზნესების მხარდაჭერა, ენერგო აუდიტის განხორციელება. რის შედეგადაც გამოვლინდება **ენერგიისა და ენერგო გადასახადების დამზოგი ტექნოლოგიური ღონისძიებები** და მათი დანერგვისთვის საჭირო პროფესიული რეკომენდაციები.

კონკურსი წარმატებულ მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს:

- მიიღონ ექსპერტული ტექნიკური დახმარება ენერგოეფექტურობის მიმართულებით;
- შეფასდეს ობიექტის არსებული მდგომარეობა ენერგო მოხმარების კუთხით;
- მომზადდეს ინდივიდუალური ტექნიკური წინადადებები ღონისძიებებისთვის, რომლებიც გამოიწვევს ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას;
- მიიღონ რეკომენდაციები შესაბამისი მასალებისა და ტექნოლოგიების შერჩევაზე;
- მიიღონ დამატებითი ტექნიკური მხარდაჭერა თავიანთი ობიექტების ენერგოეფექტურობის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად .

### *ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?*

*კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მცირე და საშუალო საწარმოებს (SMEs), რომლებიც:*

- ოპერირებენ/ფუნქციონირებენ ონის ან სამტრედიის მუნიციპალიტეტებში;
- ფუნქციონირებენ რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროში: საოჯახო სასტუმროები, რესტორნები, კაფეები, სილამაზის სალონები, სამედიცინო/სტომატოლოგიური კაბინეტები, მაღაზიები, სახელოსნოები, მომსახურების ცენტრები და სხვა.
- ფლობენ საკუთრებაში ან გრძელვადიანი იჯარით შენობას/შენობის ნაწილს ონისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტში და ამ შენობაში ენერგია მოიხმარება შიდა ტემპერატურული კომფორტის შესაქმნელად;
- მზად არიან თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ სხვა კომპანიებსაც რეგიონში.

*რას უზრუნველყოფს კონკურსი?*

*1. ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებაზე მიმართულ ექსპერტულ მომსახურებას - ენერგოაუდიტის განხორციელებას, რომელიც მოიცავს:*

- ენერგომოხმარებისა და დანაკარგების გამოვლენა-შეფასებას;
- შენობისა და/ან ენერგეტიკული მოწყობილობების ტექნიკურ ანალიზს;
- ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებელ რეკომენდაციებს.

*2. ექსპერტული, შედეგებზე დაფუძნებული ტექნიკური მხარდაჭერა. შერჩეული SME-იები მიიღებენ:*

- კონკრეტულ ტექნიკურ წინადადებებს ენერგოეფექტური ღონისძიებების დანერგვისთვის;
- რეკომენდაციებს მასალებისა და ტექნოლოგიების შერჩევაზე.

***კონკურსში გამარჯვებული აპლიკანტებისთვის შეიძლება შეთავაზებული იქნას ობიექტებში შერჩეული ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელება.***

ექსპერტული მომსახურება განხორციელდება თითოეულ მუნიციპალიტეტში ორ (2) შერჩეულ კომპანიაში.

დაინტერესებულმა პირებმა, კონკურსში მონაწილეობის მიზნით უნდა წარმოადგინონ შევსებული განაცხადის ფორმა **2026 წლის 16 იანვრამდე,** (იხილეთ დანართი 1) **შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:** eecgeo@eecgeo.org. საგანში მიუთითეთ: *ენერგოეფექტურობის კონკურსი*.

*კონკურსის ეტაპები*

- შერჩევის ჯგუფის (GIZ და EECG) მიერ მონაწილეების შერჩევა
- საინფორმაციო შეხვედრები მცირე და საშუალო საწარმოებთან ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების პრაქტიკული ზომების შესახებ: 2026 წლის თებერვალი
- ტექნიკური წინადადებების, რეკომენდაციების შემუშავება და ენერგო აუდიტი EECG-ის მიერ: ბოლო ვადა: 2026 წლის 30 აპრილი

*რატომ უნდა მიიღოთ კონკურსში მონაწილეობა?*

- გაიგებთ, სად არის ენერგო დანაკარგები თქვენს საწარმოში/ობიექტში;
- გაიგებთ როგორაა შესაძლებელი შემოსავლების გაზრდა განახლებადი ენერგიით;
- მიიღებთ კონკრეტულ, პრაქტიკულ რეკომენდაციებს ხარჯების შესამცირებლად;
- შეამცირებთ ენერგიის დანახარჯს და გაიუმჯობესებთ ოპერირების ხარისხს;
- ბიზნესის კომფორტი, გარემო და მომსახურების სტანდარტი მნიშვნელოვნად მოიმატებს.

# ენერგოეფექტურობის კონკურსი

## ონისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების

## მცირე ბიზნესებისთვის

---

## განაცხადის ფორმა

### 1. ზოგადი ინფორმაცია

- საწარმოს სრული სახელწოდება: ________________________________
- იურიდიული სტატუსი (მაგ. ს/კ, შპს, ა.შ.): ______________________
- რეგისტრაციის ნომერი: ________________________________
- მისამართი: _________________________
- ძირითადი საქმიანობის სფერო: ________________________________
- საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი): ________________________________
- პოზიცია: _______________________________
- ტელეფონი: ________________________________
- ელ.ფოსტა: ________________________________
- საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა: ______________________

### 2. საწარმოს/ობიექტის მდებარეობა და ინფრასტრუქტურა

- მისამართი: ________________________________
- ობიექტის ტიპი (მაგ. საოჯახო სასტუმრო, რესტორანი, კაფე, სალონი, მაღაზია, სახელოსნო, სამედიცინო ცენტრი, სხვა): ______________________
- შენობის მფლობელობა:
    - ☐ საკუთრება
    - ☐ გრძელვადიანი იჯარა (გთხოვთ წარმოადგინოთ მეპატრონეს თანხმობის დოკუმენტი)
- შენობის/ობიექტის აღწერა (ფართი, ძირითადი ინფრასტრუქტურა, მოწყობილობები): ________________________________
- ფოტომასალა (გთხოვთ დაურთოთ რამდენიმე ფოტო თქვენი ობიექტისა და ძირითადი ენერგიის მომხმარებელი დანადგარების ჩამონათვალი
- წლიური ენერგო გადასახადი გაზი. ელ .ენერგია, შეშა სხვა

## 3. მონაწილეობის მოტივაცია

- მოკლე ახსნა-განმარტება, რატომ სურს თქვენს საწარმოს მონაწილეობა კონკურსში:
  ____________________________________________________________________________
  ____________________________________________________________________________
  ____________________________________________________________________________
  ____________________________________________________________________________
  ____________________________________________________________________________
  ____________________________________________________________________________

- მიმდინარე გამოწვევები ენერგოეფექტურობის კუთხით (მაგ. მაღალი ელექტროენერგიის ხარჯები, არასრულყოფილი გათბობის/გაგრილების სისტემა, მოწყობილობების ენერგო დანაკარგები და ა.შ.):
  ____________________________________________________________________________
  ____________________________________________________________________________
  ____________________________________________________________________________
  ____________________________________________________________________________
  ____________________________________________________________________________

## 4. დამადასტურებელი დოკუმენტები

- საკუთრების ამონაწერი ან მეპატრონეს თანხმობის წერილი სივრცის გამოყენებაზე
- ფოტომასალა ობიექტის შესახებ
- სხვა, რაც საჭიროდ ჩათვლით კონკურსში მონაწილეობის დასამტკიცებლად

თარიღი: __________________________

ხელმოწერა: __________________________